ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3505485

ნომერი: AR1535949

თარიღი : 29.08.2017

გაცემის თარიღი : 08.09.2017

გაცნობის თარიღი : 08.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რობაქიძის გამზ. N7გ-ს მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი I , N14ა კორპუსის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა რობაქიძე , N 7გ ; ქალაქი თბილისი , დიღმის მასივი , კვარტალი I წიგნის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ (ნაკვ.4/16));

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაკურ ვეკუა პ/ნ 48001007499
- ჩხოროწყუ ს. ლესიჭინე 41–ე ქ. N 1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 29 აგვისტოს AR1535949 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2004 წლის N2886 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.13.04.004.032), რომლის დამატებაც გსურთ სამშენებლო პასპორტში, სამსახურის 2016 წლის 28 დეკემბრის № 2339184 ბრძანებით, #01.13.04.004.004 საკადასტრო ერთეულზე ოფისის განთავსების მიზნით დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამის შემდგომ მოხდა აღნიშნული რეგისტრაციის წითელი ხაზების ცვლილება, თუმცა არ განხორციელებულა ცვლილება დადგენილ დოკუმენტში. დღევანდელი მდგომარეობით 01.13.04.004.032 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, თუმცა ის აღარ ეკუთვნის საპროექტო არეალს.

შესაბამისად, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენს მიერ დაყენებულ მოთხოვნაზე, უპირველესყოვლისა ცვლილება უნდა შევიდეს 2016 წლის 28 დეკემბრის № 2339184 აქტში, განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირების კუთხით. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი 01.13.04.004.032 საკადასტრო ერთეულის დამოუკიდებელ სამშენებლო განვითარებაზე მსჯელობა.

გარდა ამისა, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.13.04.004.016) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 13 მაისის N2203 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 9 ივლისის N3123 ბრძანებების თანახმად საპროექტო მიწის ნაკვეთზე მომატეულია მიწის ნაკვეთის განაშენიანებსა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტები. ვინაიდან ზემოაღნიშნულ ბრძანებებში დაფიქსირებულია საკდასტრო მონაცემები, ხოლო დღევანდელი მდგომარეობით ხდება ახალი საკადასტრო ერთეულის დამატება, საჭიროა განხორციელდეს ცვლილება ქ. თბილისის მერის ბრძანებაში. საკითხი განხილულ იქნება იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს სხდომაზე, ამისათვის დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი სრულყოფილი დასაბუთება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 29 აგვისტოს AR1535949 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.